განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

# აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსთან“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან“ შესაბამისობის შესახებ

## „სამართლის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა

## შპს საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ

შეფასების თარიღ(ებ)ი

29.08-07.09. 2022 წ.

დასკვნის წარდგენის თარიღი

16.09.2022 წ

თბილისი

## ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ[1]

| | |
|---|---|
| დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით | შპს საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ |
| დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი | 208215509 |
| დაწესებულების სახე | სასწავლო უნივერსიტეტი |

## ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

| | |
|---|---|
| საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება | სამართალი |
| უმაღლესი განათლების საფეხური | მაგისტრატურა |
| მისანიჭებელი კვალიფიკაცია[2] | სამართლის მაგისტრი |
| დეტალური სფეროს დასახელება და კოდი | სამართალი, 0421 |
| ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითება (მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში) | - |
| სწავლების ენა | ქართული |
| ECTS კრედიტების რაოდენობა | 120 |
| პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/პირობით აკრედიტებული/ახალი/საერთაშორისო აკრედიტაცია) შესაბამისი გადაწყვეტილების მითითებით (ნომერი, თარიღი) | აკრედიტებული<br>2016 წლის 24 ივნისის N21 გადაწყვეტილება |

## ექსპერტთა ჯგუფის წევრები

| | |
|---|---|
| თავმჯდომარე (სახელი, გვარი, | მაკა კარტოზია, შპს აღმოსავლეთ ევროპის |

[1] ერთობლივი საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში: მიეთითება ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულებები; „დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდის“ და „დაწესებულების სახის“ მითითება არ არის სავალდებულო უცხო ქვეყნის დაწესებულებ(ებ)ისათვის

[2] უცხო ქვეყნის დაწესებულებასთან ერთად ერთობლივი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შემთხვევაში თუ განსხვავდება მისანიჭებელი კვალიფიკაციის ფორმულირება, მიეთითება ცალ-ცალკე დაწესებულებების მიხედვით

| | |
|---|---|
| უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | უნვერსიტეტის აფილირებული პროფესორი, კავკასიის უნივერსიტეტის პროფესორი, საქართველო |
| წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | ქეთევან ცხადაძე, პროფესორი, ალტე უნივერსიტეტი, საქართველო |

## აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

“აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შექმნისა და შპს საქართველოს ეროვნულ უნივერსიტეტ სეუ-ს “სამართლის“ საბაკალავრო და სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამებზე არაგეგმიური მონიტორინგის განხორციელების შესახებ” განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის 06.07.2022 წლის ბრძანების MES 3 22 0000769750 შესაბამისად, ჩატარდა „სამართლის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსთან“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან“ შესაბამისობის დადგენის მიზნით შეფასება.

შეფასების პროცესი დაეფუძნა ცენტრის მიერ აკრედიტაციის ექსპერტებისადმი წარდგენილ დოკუმენტაციას.

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**

შპს საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას აკრედიტებულ რეჟიმში ახორციელებს 2016 წლიდან. საგანმანათლებლო დაწესებულებამ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის №69/ნ ბრძანებით დამტკიცებულ „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან“ შესაბამისობის დადგენის მიზნით სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში წარმოადგინა თვითშეფასების ანგარიში და მასზე თანდართული დოკუმენტები „სამართლის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებით.

სამართლის სამაგისტრო პროგრამა ეფუძნება საქართველოს ეროვნულ კვალიფიკაციათა ჩარჩოსა და სამართლის დარგობრივი მახასიათებლების ძირითად მოთხოვნებს. პროგრამა აგებულია ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს კვალიფიკაციის სირთულის განმსაზღვრელი განზოგადოებული სწავლების შედეგების მე-7 დონის შესაბამისად. პროგრამა შეესაბამება სამართლის დარგობრივი მახასიათებლის დოკუმენტით დადგენილ მოთხოვნებს და წარმოდგენილია სწავლების კლასიფიკატორით განსაზღვრული სწავლის დეტალური სფეროს კოდით 0421.

სამართლის სამაგისტრო პროგრამა აღწერს და განსაზღვრავს პროგრამის სახელწოდებას, უმაღლესი განათლების საფეხურს, მისანიჭებელ კვალიფიკაციას, კრედიტების რაოდენობას (120 კრედიტი), პროგრამის მიზნებსა და სწავლის შედეგებს, სწავლება-სწავლის მეთოდებს, სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემას, დასაქმების სფეროებს, პროგრამის მატერიალურ-ტექნიკურ ბაზას, პროგრამის ადამიანურ რესურს და პროგრამის სტრუქტურას.

სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს 120 ECTS კრედიტს, წელიწადში – 60 კრედიტს, სემესტრში – 30 კრედიტს. შესაბამისად, სამაგისტრო პროგრამის სტანდარტული ხანგრძლივობა 2 წელს ანუ 4 სემესტრს შეადგენს.

სასწავლო კომპონენტები შედგება: **პრაქტიკული უნარ-ჩვევების ბლოკის (30 ECTS კრედიტი), სამართლის კვლევით-მეთოდოლოგიური ბლოკისა (45 ECTS კრედიტი), არჩევითი სასწავლო კურსებისაგან (45 ECTS კრედიტი),** ჯამში 120 ECTS კრედიტი.

უსდ-მ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის №69/ნ ბრძანებით დამტკიცებულ „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა" და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან" და სამართლის დარგობრივ დოკუმენტთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით სამაგისტრო პროგრამაში განახორციელა რიგი ცვლილებები. კერძოდ, მოდიფიცირდა სამართლის სამაგისტრო პროგრამის მიზნები, შესაბამისობაში იქნა მოყვანილი ეროვნულ კვალიფიკაციათა ჩარჩოსთან და სამართლის დარგობრივ მახასიათებლებთან, ასევე სამართლის დარგობრივი მახასიათებელის გათვალისწინებით, დაზუსტდა და დაკონკრეტდა პროგრამის სწავლის შედეგები ცოდნის, უნარების და პასუხისმგებლობა/ავტონომიურომის გათვალისწინებით.

**საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

ექსპერტთა ჯგუფის მიერ დისტანციურად, დაწესებულების მიერ მოწოდებული მასალების/ინფორმაციის შესწავლა-შეფასების შედეგად დადგინდა, რომ შპს საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტის სეუ-ს მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამა სრულად შესაბამისობაშია უმაღლესი განათლების შეფასებულ სტანდარტებთან (სტანდარტები: 1, 2, 4), „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსთან" და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან".

- **რეკომენდაციები**

შპს საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტის სეუ-ს მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის განხილვა-ანალიზის შედეგად რეკომენდაციების საჭიროება არ გამოკვეთილა.

- **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

კარგი იქნებოდა თუ უნივერსიტეტი იმუშავებდა სამართალში განსაკუთრებულად პოპულარული რესურსების, როგორიცაა home.heinonline.org, lexisnexis.com და სხვ. უნივერსიტეტში გამოყენების დანერგვაზე.

ექსპერტთა ჯგუფის მიერ ჩამოყალიბებული რჩევის გაცნობის შემდეგ, სეუ-ს მიერ წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის მიხედვით, მათი მხრიდან რჩევა გაზიარებულია.

- **საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)**

- **ხელახალი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

# პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

## 1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

| 1.1 პროგრამის მიზნები |
|---|
| პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული და რა წვლილი შეაქვს სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში. |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**<br><br>უსდ-ს წარმოდგენილი თვითშეფასების ანგარიშის და სამართლის სამაგისტრო პროგრამის მიხედვით პროგრამის მიზნები, რომელიც შეიცვალა ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს და სამართლის დარგობრივ მახასიათებლებთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით, ორიენტირებულია დასაქმების ბაზარზე და მიზნად ისახავს სამართლის მაღალკვალიფიციური სპეციალისტების მომზადებას. პროგრამაში ინტეგრირებული პრაქტიკული, კვლევითი და სასწავლო კომპონენტების ერთობლიობა უზრუნველყოფს პროგრამის მიზნების შესაბამისი სწავლის შედეგების მიღწევას. სამართლის საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები არის რეალისტური, ორიენტირებულია დასაქმების ბაზარზე და მიღწევადია, ასევე შეესაბამება ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს და სამართლის დარგობრივ მახასიათებელს.<br><br>**პროგრამის მიხედვით სამართლის სამაგისტრო პროგრამის მიზანია სტუდენტს:**<br><br>✓ შესძინოს ღრმა და სისტემური ცოდნა კერძო, სისხლის ან საჯარო სამართლის სფეროში არჩეული კურსების ფარგლებში, საუკეთესო პრაქტიკის განზოგადებით ან/და შედარებითსამართლებრივი მეთოდოლოგიის გამოყენებით;<br>✓ გამოუმუშაოს ინოვაციური მიდგომები ნორმის სწორად ინტერპრეტაციის, რთული სამართლებრივი პრობლემების კომპლექსურად შეფასების და საბოლოოდ სამართლებრივი ამოცანის გადასაწყვეტად;<br>✓ შესძინოს შესაბამისი სფეროს უახლესი მიღწევების გაცნობისა და მეცნიერულ-თეორიული და პრაქტიკული კვლევის დამოუკიდებლად განხორციელების უნარი;<br>✓ გამოუმუშავოს კერძო, სისხლის ან საჯარო სამართლის სფეროში საკუთარი კომპლექსური და ორიგინალური სამართლებრივი დასკვნების ჩამოყალიბების უნარი;<br>✓ გამოუმუშაოს აკადემიური ეთიკის სტანდარტების დაცვით აკადემიური და პროფესიული საზოგადოებისთვის წერილობითი და ზეპირი ფორმით ქართულ და უცხო ენებზე საკუთარ კვლევის შედეგების და სამართლებრივი დასკვნების არგუმენტირებულად გადაცემის უნარი;<br>✓ გამოუმუშავოს სამართლის სფეროში პრაქტიკული საქმიანობისას პროფესიული ეთიკისა ნორმების დაცვითა და დემოკრატიული ფასეულობების გათვალისწინებით მოქმედების უნარი.<br><br>როგორც თვითშეფასების ანგარიშიდან ირკვევა, პროგრამის გადამუშავების პროცესში |

| |
|---|
| აქტიურად იყო ჩართული პროგრამის მრჩეველთა საბჭო, აკადემიური/მოწვეული პერსონალი, სტუდენტები, კურსდამთავრებულები და დამსაქმებლები და ამასთან ნებისმიერი დაინტერესებული პირისათვის ფაკულტეტზე გაიმართა არაერთი შეხვედრა. პროგრამის გადასინჯვა მოხდა სარევიზიო კომიტეტის მიერ, განხილულ იქნა ფაკულტეტის საბჭოს სხდომაზე და დამტკიცდა აკადემიური საბჭოს მიერ. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები<br><br>• სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა;<br>• სილაბუსები;<br>• თვითშეფასების ანგარიში. |
| რეკომენდაციები:<br><br>○ წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები |
| რჩევები პროგრამის განვითარებისთვის<br><br>○ არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის |
| საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):<br><br>○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის |
| მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)<br><br>○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) |
| შეფასება<br><br>○ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა<br><br>✓ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

## 1.2 პროგრამის სწავლის შედეგები

- პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას;
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს;
- შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

სამართლის სამაგისტრო პროგრამის სწავლის შედეგები ნათლად არის ჩამოყალიბებული. იგი მოიცავს იმ ცოდნას, უნარებს, პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომელსაც სტუდენტი შეიძენს პროგრამის დასრულებისას. სამართლის სამაგისტრო პროგრამის მოდიფიცირებისას გათვალისწინებულ იქნა ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს და დარგობრივი მახაიათებლების მოთხოვნები, პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების თავსებადობის, ასევე კურსის კურიკულუმის მიზნებისა და სწავლის შედეგების გაწერის პროცესი.

უსდ-ს მიერ წარმოდგენილი სამართლის სამაგისტრო პროგრამის და თანდართული დოკუმენტაციის მიხედვით, პროგრამის სწავლის შედეგებია:

**ცოდნა და გაცნობიერება:**

- ✓ ფლობს ღრმა და სისტემურ თეორიულ ცოდნას კერძო, სისხლის ან/და საჯარო სამართლის სფეროში კომპლექსური ან/და ინტერდისციპლინური პრობლემების გადაწყვეტის ახლებური ხედვის ფორმირებისათვის;
- ✓ აღწერს ეროვნული და უცხოური სამართლის მიღწევებს, ნაციონალური და/ან საერთაშორისო სასამართლოების პრაქტიკისა და პრეცენდენტების განვითარების პერსპექტივებსა და ძირითად ტენდენციებს, საერთაშორისო და ეროვნული სამართლის ურთიერთკავშირისა და ურთიერთმიმართების პრობლემებს;
- ✓ ხსნის საერთაშორისო სამართლის ან/და ევროკავშირის სამართლის ეროვნულ სამართალზე ზემოქმედების ასპექტებს, განსაზღვრავს კომპარატივისტიკის მეთოდის გამოყენების მნიშვნელობას.
- ✓ აღწერს ეთიკის წესებს და დისციპლინური სამართლაწარმოების თავისებურებებს.
- ✓ ფლობს სამეცნიერო კვლევის თანამედროვე დარგობრივ მეთოდებს, აკადემიური პატიოსნების წესებსა და აკადემიური ეთიკის საკითხებს, პროფესიული სამეცნიერო ტექსტების შექმნის ძირითად წესებსა და და პრინციპებს.

**უნარი:**

- ✓ ამოიცნობს და კომპლექსურად აფასებს კერძოსამართლებრივ, სისხლისამართლებრივ ან საჯაროსამართლებრივ რთულ პრობლემებსა და იურიდიული შემთხვევის ფაქტობრივ გარემოებებს, ახორციელებს რთული და არასრული ინფორმაციის ინოვაციურ სინთეზს, კრიტიკული ანალიზისა და შედარებითსამართლებრივი მეთოდის გამოყენებით შეიმუშავებს პრობლემის გადაწყვეტის ახალ, ორიგინალურ გზებს და აყალიბებს დასკვნებს.
- ✓ განმარტების მეთოდის გამოყენებით, კანონმდებლობის სრულყოფის თაობაზე, შეიმუშავებს საკუთარ ორიგინალურ სამართლებრივ ხედვას და განსაზღვრავს

საკუთარი გადაწყვეტილებების დადებით და უარყოფით შედეგებს;
- ✓ გადასცემს საკუთარი კვლევის შედეგებს და სამართლებრივ დასკვნებს, აკადემიური ეთიკის სტანდარტების დაცვით, აკადემიურ და პროფესიულ საზოგადოებას წერილობითი და ზეპირი ფორმით მშობლიურ და უცხოურ ენებზე;
- ✓ აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპის დაცვით უახლესი მეთოდებისა და მიდგომების გამოყენებით დამოუკიდებლად წარმართავს კვლევის პროცესს. იფართოებს ცოდნას უახლოესი მეთოდების გამოყენებით პირველადი წყაროების, სამეცნიერო სტატიებისა და სასამართლო გადაწყვეტილებების განზოგადებული ანალიზის მეშვეობით.

**პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა**

- ✓ პატივს სცემს და აღიარებს პროფესიულ და დემოკრატიულ ღირებულებებს, ეთიკის და აკადემიური პატიოსნების სტანდარტებს, სამეცნიერო კვლევის ეთიკურ შედეგებს;
- ✓ მართავს კომპლექსურ, არაპროგნოზირებად ან მულტიდისციპლინურ სასწავლო ან/და სამუშაო გარემოს და თავისუფლად ადაპტირდება ახალი სტრატეგიული მიდგომების მეშვეობით განსხვავებული შეხედულებების მქონე ადამიანთა მრავალფეროვან ჯგუფებში. გააჩნია მაღალი დონის პირადი ავტონომია და ანგარიშვალდებულება, შეუძლია პასუხისმგებლობის აღება სხვების საქმიანობაზე და მათ შემდგომ პროფესიულ განვითარებაზე;
- ✓ ახორციელებს თეორიული კომპონენტებისა და პრაქტიკული გამოცდილების სინთეზს, ცოდნის გაფართოებას პირველადი წყაროების, სამეცნიერო სტატიებისა და სასამართლო გადაწყვეტილებების განზოგადებული ანალიზის მეშვეობით შესაბამისი სფეროს უახლეს მეთოდებზე დაყრდნობით.

უსდ-ს თვითშეფასების ანგარიშის და სამართლის სამაგისტრო პროგრამის მიხედვით, პროგრამის სწავლის შედეგებისა და სასწავლო კურსის სწავლის შედეგების დადარების მიზნით დაზუსტდა კურიკულუმის რუკა. საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევის გასაზომად გამოიყენება პროგრამის სწავლის შედეგების რუკა (კურიკულუმის რუკა), რომელითაც შესაძლებელი იქნება პროგრამის და სასწავლო კურსების სწავლის შედეგების შედარება. სწავლის შედეგების მიღწევის შეფასებისათვის გამოყენებულია პირდაპირი და არაპირდაპირი შეფასების მეთოდოლოგია.

პროგრამაში მონაწილე პერსონალის კვალიფიკაციიდან და შესაძლებლობებიდან, ასევე სასწავლო საგნების შინაარსიდან, სილაბუსებიდან გამომდინარე, პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევა რეალისტურია და შეესაბამება საბოლოოდ მისანიჭებელ კვალიფიკაციას; შეესაბამება პროგრამის კურსდამთავრებულთა პროფესიით დასაქმების სფეროების მოთხოვნებს და იძლევა განათლების შემდეგ საფეხურზე სწავლის გაგრძელების შესაძლებლობას; ასევე შეესაბამება დარგის სპეციფიკას და შრომის ბაზრის მოთხოვნებს.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- სამართლის საბაკალავრო პროგრამა;
- სილაბუსები;
- თვითშეფასების ანგარიში.

| |
|---|
| **რეკომენდაციები:**<br><br>წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები |
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის** |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**<br><br>○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**<br><br>○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)<br>○ |
| **შეფასება**<br><br>o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა<br><br>✓ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

## პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

| სტანდარტი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა | ✓ | | | |

## 2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

| 2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები |
|---|
| უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები. |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**<br><br>საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ-ს სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის უფლება აქვს სამართლის ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირს, რომელიც ჩაირიცხება ერთიანი სამაგისტრო გამოცდისა და საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ-ს მიერ დადგენილი წესით სპეციალობაში და უცხო ენაში (ინგლისური, გერმანული, ფრანგული)[3] მისაღები გამოცდის ჩაბარების შედეგად. უცხო ენაში კომუნიკაციის კომპეტენციის დადასტურება შესაძლებელია უცხო ენის B2 დონეზე ფლობის დამადასტურებელი საერთაშორისო სერტიფიკატით.<br><br>სამართალის სამაგისტრო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები - გამჭვირვალეა და ითვალისწინებს პროგრამის სპეციფიკას, უზრუნველყოფს პროგრამის დასაძლევად აუცილებელი ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციის მქონე პირთა პროგრამაზე სასწავლებლად ჩართვას. პროგრამაზე დაშვების წინაპირობები შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას.<br><br>პროგრამაზე დაშვების წინაპირობები სრულადაა ასახული სამაგისტრო პროგრამაში და ხელმისაწვდომია საჯაროდ, უნივერსიტეტის ვებგვერდზე. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები**<br><br>• სამართლის სამაგისტრო პროგრამა;<br>• თვითშეფასების ანგარიში;<br>• ვებგვერდი |

[3] უცხო ენის ტესტირებისგან თავისუფლდება კანდიდატი, რომელიც წარმოადგენს უცხო ენის B2 დონეზე ცოდნის დამადასტურებელ სერტიფიკატს, ასევე კანდიდატი, ვისაც შესაბამის ენაზე აქვს გავლილი ბაკალავრიატის ან მაგისტრატურის საფეხური.

| |
|---|
| **რეკომენდაციები:**<br><br>წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები |
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**<br><br>არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**<br><br>○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**<br><br>○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)<br>○ |
| **შეფასება**<br><br>ο გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა<br><br>√ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

| 2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი |
|---|
| პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან. |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**<br><br>უსდ-ს მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციით (თვითშეფასების ანგარიში, სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა) ირკვევა, რომ შპს საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტის სეუ-ს სამართლის სამაგისტრო პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი „საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების, გადასინჯვისა და შეწყვეტის პროცედურების“ შესაბამისად.<br><br>დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, ცვლილებები განხორციელდა როგორც საგანმანათლებლო პროგრამაში, ისე პროგრამით |

გათვალისწინებულ სასწავლო კურსებში, რომელიც ეფუძნება როგორც კვალიფიკაციათა ეროვნული კვალიფიკაციების განახლებულ ჩარჩოს და სამართლის დარგობრივ მახასიათებლებს, ისე აკრედიტაციის სტანდარტებს და განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ შემუშავებულ დოკუმენტს - „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტების შეფასების სახელმძღვანელო“. ასევე პროგრამის კურიკულუმში განხორციელდა ცვლილებები, რომელიც გამოიწვია სამართლის დარგობრივი მახასიათებლით გათვალისწინებულმა მოთხოვნებმა:

- სავალდებულო სასწავლო კურსად დაემატა - ასოცირების შეთანხმება და სამართლებრივი აპროქსიმაცია, რომლის შესწავლის შედეგად მაგისტრანტს შეექმნება ზუსტი წარმოდგენა ევროპული სამეზობლო პოლიტიკის, აღმოსავლეთ პარტნიორობის, საქართველო-ევროკავშირის ასოცირების შესახებ შეთანხმების, ვიზა ლიბერალიზაციის აქტუალურ საკითხებზე;

- დაკორექტირდა და დაზუსტდა სასწავლო კურსის - იურიდიული რიტორიკის პრაქტიკული კურსი-ს სახელწოდება და ეწოდა - სამოსამართლო ეთიკის და იურიდიული რიტორიკის პრაქტიკული კურსი, რომლის შესწავლის შედეგად სტუდენტი შეიძენს სიღრმისეულ ცოდნას და გამოიმუშავებს პრაქტიკულ უნარებს საქართველოს საერთო სასამართლოების სისტემისა და ორგანიზაციის, მოსამართლეთა სამართლებრივი სტატუსის, უფლება-მოვალეობების, მათი შერჩევის, თანამდებობაზე დანიშვნისა და თანამდებობიდან გათავისუფლების წესის, მოსამართლეთა სოციალური და სამართლებრივი დაცვის გარანტიების, მათი კომუნიკაციის, დისციპლინური სამართალწარმოების თავისებურებების და ეთიკის წესების შესახებ;

- დაზუსტდა სასწავლო კურსები საკითხებისა და ლიტერატურის დუბლირების თავიდან აცილების მიზნით;

- პროგრამას დაემატა - ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის პრაქტიკული სამართლის კლინიკა.

პროგრამა აგებულია ევროპული კრედიტების ტრანსფერის სისტემის შესაბამისად (ECTS). სტრუქტურულად და შინაარსობრივად პროგრამა ჩამოყალიბებულია ბლოკების სახით, შეიცავს სავალდებულო და არჩევით კომპონენტებს და კვალიფიკაციის მოსაპოვებლად ითვალისწინებს 120 ECTS - კრედიტის პროგრამაში დადგენილი წესებით დაგროვებას. კერძოდ, პროგრამა შედგება:

- ✓ პრაქტიკული უნარ-ჩვევების ბლოკის (30 ECTS კრედიტი), რაც თავის მხრივ მოიცავს, იურიდიული კლინიკას, Street Law-ს და სამოსამართლო ეთიკის და იურიდიული რიტორიკის პრაქტიკულ კურსს;
- ✓ სამართლის კვლევით-მეთოდოლოგიური ბლოკის (45 ECTS კრედიტი), აღნიშნული ემსახურება მაგისტრანტისთვის აუცილებელი დარგობრივი კომპეტენციების ფორმირებასა და განვითარებას, სიღრმისეული თეორიული ცოდნის მიღებას და კვლევითი უნარების განვითარებას; ყურადღება ეთმობა ასოცირების შეთანხმებასა და სამართლებრივი აპროქსიმაციის საკითხებს, სამართლებრივი კვლევის მეთოდოლოგიასა და წერის სტანდარტებს, ინტერდისციპლინური კვლევითი ნაშრომისა და სამაგისტრო ნაშრომის წერას;
- ✓ სპეციალობის არჩევითი სასწავლო კურსების ბლოკი (45 ECTS კრედიტი) ემსახურება სამართლის ცალკეულ დარგებში ცოდნის გაღრმავებას, სფეროში

სპეციფიკური საკითხების შესახებ ცოდნისა და პრაქტიკული უნარ-ჩვევების განვითარებას. სპეციალობის არჩევითი სასწავლო კურსები სტუდენტს საშუალებას აძლევს საკუთარი სურვილისა და ინტერესების გათვალისწინებით მოახდინოს სწავლების კონცენტრირება და გაიღრმავოს ცოდნა სამართლის ცალკეულ დარგებში. სპეციალობის არჩევითი სასწავლო კურსების მრავალფეროვანი არჩევანი სტუდენტისათვის არ არის შეზღუდული მიმართულებების მიხედვით.

თითოეული სასწავლო კურსის/ბლოკის შინაარსი შეესაბამება დასახულ მიზნებსა და სწავლის შედეგებს. თითოეული სასწავლო კურსის/ბლოკის სწავლებისა და სწავლის მეთოდები ადეკვატურია დასახულ მიზნებსა და სწავლის შედეგებთან მიმართებაში. პროგრამაში წარმოდგენილი სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სტანდარტებს. შესაბამისად მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან. შესაბამისად, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სავალდებულო და არჩევითი კომპონენტები, მათი მოცულობა შეესაბამება სწავლების სამაგისტრო საფეხურს, შესაბამისობაშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- სამართლის საბაკალავრო პროგრამა თანდართული დოკუმენტაციით;
- თვითშეფასების ანგარიში;
- სილაბუსები

**რეკომენდაციები:**

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
-

**შეფასება**

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

√ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

## 2.3. სასწავლო კურსი

- ძირითადი სფეროს თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის/საგნის/მოდულის/კონცენტრაციის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს;
- სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

წარმოდგენილი სამაგისტრო პროგრამის შემადგენელი კომპონენტების სტრუქტურა, შინაარსი და განხორციელების თავისებურებები დეტალურად არის გაწერილი შესაბამის სილაბუსებში. სასწავლო კურსების სილაბუსებში დეტალურად არის ჩამოყალიბებული ინფორმაცია შინაარსის, კრედიტების მოცულობის, მიზნების, ცოდნის შეფასების, სწავლის შედეგების და ლიტერატურის შესახებ.

საგანმანათლებლო პროგრამაში გათვალისწინებული აკრედიტაციის სახელმძღვანელოს მიხედვით შედგენილი სპეციალობის სავალდებულო სასწავლო კურსების კურიკულუმის რუკა, რომელიც წარმოაჩენს თითოეული სასწავლო კომპონენტის მიერ პროგრამის სწავლის შედეგებთან თანხვედრას და ცოდნის სიღრმეს.

სასწავლო კურსების შინაარსი ეფუძნება სამართლის დარგობრივი მახასიათებლებით დადგენილ სწავლის შედეგებს, რაც უზრუნველყოფს თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგების შესაბამისობას უმაღლესი განათლების შესაბამის საფეხურთან, მაგისტრატურასთან.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- სამართლის სამაგისტრო პროგრამა
- სილაბუსები

**რეკომენდაციები:**

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
-

**შეფასება**

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

✓ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

## 2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება

პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

პროგრამის სწავლის შედეგები ჩამოყალიბებულია სამართლის დარგობრივი მახასიათებლების მოთხოვნების მიხედვით. პროგრამა ძირითადად გაყოფილია ორ ნაწილად, სავალდებულო და არჩევითი კომპონენტები. სავალდებულო კომპონენტები ორიენტირებული არიან სამართლის სხვდასხვა კულტურის, სამართლის სწავლების, კვლევითი პოტენციალისა და პრაქტიკული უნარების განვითარებისაკენ.

წარმოდგენილი დოკუმენტაციით ირკვევა, რომ უნივერსიტეტის ბაზაზე ფუნქციონირებს იურიდიული კლინიკა, რომელიც მოქალაქეებს უწევს იურიდიულ კონსულტაციას, უზრუნველყოფს სასამართლოსა და ადმინისტრაციულ ორგანოებში საქმის განხილვაში წარმომადგენლობას და ადვოკატირებას. კლინიკაში ჩართულნი არიან მაგისტრატურის სტუდენტები, რომლებიც კლინიკის ხელმძღვანელის დახმარებით უშუალოდ იღებენ მონაწილეობას სამართლებრივი დოკუმენტების მომზადებასა და კლიენტების წარმომადგენლობაში.

| |
|---|
| გარდა ამისა, იურიდიული კლინიკა შეიძლება განხორციელდეს სასამართლოში, საქართველოს ადვოკატთა ასოციაციაში, საადვოკატო ბიუროებში, საჯარო დაწესებულებებში, იურიდიული პროფილის არასამეწარმეო (არაკომერციულ) ორგანიზაციებში და მიზნად ისახავს სტუდენტებისათვის პრაქტიკაზე დაფუძნებული იურიდიული განათლების მიცემას. იურიდიული კლინიკა სტუდენტებმა შეიძლება გაიარონ იმ დაწესებულებებში, რომლებთანაც უნივერსიტეტს ურთიერთთანამშრონმლობის მემორანდუმები აქვს გაფორმებული. წარმოდგენილია პარტნიორები, სადაც სტუდენტებს აქვთ შესაძლებლობა გაიარონ პრაქტიკა: საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო, საქართველოს პარლამენტი, თბილისის საქალაქო სასამართლო, სსიპ - იურიდიული დახმარების სამსახური და სხვ. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები**<br><br>• სამართლის სამაგისტრო პროგრამა<br>• თვითშეფასების ანგარიში |
| **რეკომენდაციები:**<br><br>წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები |
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**<br><br>არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**<br><br>○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**<br><br>○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)<br>○ |
| **შეფასება**<br><br>o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა<br><br>✓ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

## 2.5 სწავლება-სწავლის მეთოდები

პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

